

ზოგადი ინფორმაცია

გაცნობებთ, რომ ვაცხადებთ ტენდერს, ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურის მონიტორინგის სისტემის შესყიდვის მიზნით და ვიწვევთ დაინტერესებულ პირებს/კომპანიებს ღია კონკურენტუნარიან ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

შესყიდვის ობიექტი: ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურის მონიტორინგის სისტემა

შემოთავაზებულ სისტემას უნდა შეეძლოს:

- სხვადასხვა მწარმოებლის ქსელური მოწყობილობების, სერვერების, მონაცემთა სანახების, სერვისების, აპლიკაციების, რესურსების ეფექტურობის, პროდუქტიულობის და ხელმისაწვდომობის მონიტორინგი.
- ინფრასტრუქტურაში პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის დროის შემცირება, მონიტორინგის სისტემის შეტყობინებების და ანგარიშების ჩაშენებული პანელების საშუალებებით. საბოლოო ჯამში სისტემა უნდა დაგვეხმაროს კომპიუტერულ სისტემებში და ქსელებში პრობლემის სწრაფ დაფიქსირებასა და აღმოფხვრაში.
- სისტემის მიერ დაფიქსირებული და აღრიცხული მონაცემების შენახვა და ანალიტიკა.
- მოწყობილობების, მათი ინტერფეისების, მათ შორის არსებული ფიზიკური და ლოგიკური კავშირის ამსახველი „ლაივ“ სქემების შექმნა.
- მოწყობილობების, მონიტორინგი და ანალიტიკა ერთი პანელიდან.
- ITSM სისტემებთან ინტეგრაციის საშუალება. მაგ. Jira-SM, Microsoft Service Manager, Trello და მსგავსი.
- გრაფიკული ინტერფეისითა და ინსტრუმენტებით, IT ინფრასტრუქტურის კომპონენტების ოპერატიული მონიტორინგი, ქსელში მომხდარი მოვლენების ანალიზი და აღრიცხვა.

სისტემას უნდა ქონდეს შემდეგი ძირითადი მოდულები:

- ქსელური ინფრასტრუქტურის მონიტორინგის მოდული;
- ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგიის მოდული;
- Wifi მოწყობილობების მონიტორინგის მოდული;
- სერვერული სისტემების აპარატურული მონიტორინგის მოდული;
- სერვერული ოპერაციული სისტემების, სერვისების, აპლიკაციების, ფაილების მონიტორინგის მოდული;
- ვირტუალური ინფრასტრუქტურის მონიტორინგის მოდული;
- მონაცემთა სანახების (Storage) მონიტორინგის მოდული;
- ლოგების მენეჯმენტის მოდული;

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს შემდეგი მოდულების გააქტიურების საშუალება (Optional Modules):

- ქსელური ტრაფიკის დეტალური ანალიზის მოდული;
- ქსელური მოწყობილობების ცენტრალური მართვის მოდული;
- IP მისამართების მართვის და მონიტორინგის მოდული;
- ქსელში ჩართული მოწყობილობების და მათი ტრეკინგის მოდული;
- VoIP და QOS სერვისების მონიტორინგის მოდული;
- Firewall-ის ლოგების ანალიზის მოდული;
- Patch Management მოდული;

შემოთავაზებულ მონიტორინგის სისტემას უნდა ჰქონდეს:

- ქსელში მოწყობილობების ავტომატურად აღმოჩენის ფუნქცია.
- ქსელის ავტომატური სკანირების პროცესების დაგეგმვა, ახალი მოწყობილობების აღმოჩენა და ყველა კრიტიკულად მნიშვნელოვანი რესურსის მონიტორინგი. მოწყობილობის ტიპის ავტომატური იდენტიფიცირება და მისი მონიტორინგი ჩაშენებული ნიმუშის (Template) საფუძველზე SNMP-ის, ICMP-ის გამოყენებით.
- ნაკლებად ცნობილი მწარმოებლის მოწყობილობების, ჩაშენებული, მონიტორინგის შაბლონები (Templates).
- გამაფრთხილებელი და საინფორმაციო შეტყობინებების (Workflows and alerts) მორგების და მომხმარებლის მიერ განსაზღვრული ლოგიკით მუშაობის საშუალება.
- მდგომარეობის მახასიათებლების საბაზისო და ზღვრული მნიშვნელობის (Threshold) ავტომატური და ხელით დანიშვნის ფუნქცია.
- მონიტორინგში ჩართული მოწყობილობებიდან წამოღებული ინფორმაციით, ლაივ და ქრონოლოგიური, სტანდარტული და მომხმარებლის ლოგიკაზე დაფუძნებული რეპორტინგის სისტემა.
- ქსელის ხელმისაწვდომობის, პროდუქტიულობის, წვდომადობისა და წარმადობის მონიტორინგის საშუალება. ასევე ქსელური მოწყობილობების და ინტერფეისების გამტარიანობის, დატვირთვის, დაყოვნების, პაკეტების დაკარგვის, პროცესორის და მეხსიერების მონიტორინგი. აღნიშნული ინფორმაცია მონიტორინგის სისტემამ უნდა მიიღოს მოწყობილობებიდან SNMP და მსგავსი პროტოკოლების საშუალებით. ასევე სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად შესაძლებელია იყენებდეს საკუთარ პროგრამულ უზრუნველყოფას (აგენტს).
- პერიოდულად და გეგმიურად მოწყობილობების კონფიგურაციის შენახვა, ასევე კონფიგურაციაში არსებული ცვლილებების ანალიზი.
- სისტემა უნდა ამუშავებდეს, ინახავდეს და ასახავდეს დეტალურ ინფორმაციას, ქსელური ელემენტებისა და სერვისების გაუმართაობის შესახებ.
- სხვადასხვა მოწყობილობებიდან და სერვისებიდან მიღებული ინფორმაციის კონსოლიდაცია და ანალიზი, გაერთიანებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ისეთი რეპორტის მიღება, რასაც ერთი კონკრეტული წყაროდან ვერ მივიღებდით.
- სისტემის მომხმარებლების დაჯგუფება და ამ ჯგუფებზე სხვადასხვა უფლებების და როლების მინიჭება.

- სისტემაში შესრულებული ოპერაციის შემსრულებელი მომხმარებლის იდენტიფიცირება, აღრიცხვა. სასურველია პროგრამულ უზრუნველყოფას ქონდეს მომხმარებლების არასწორი და პოტენციურად საშიში მოქმედებებისგან დაცვის ფუნქცია.
- მოვლენების ჟურნალი (Log File) უნდა იყოს User Friendly, კითხვის/კოპირებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი.
- სისტემის მართვა უნდა ხორციელდებოდეს ვებ-ინტერფეისის საშუალებით. სისტემის დაფიქსირებული სრული ინფორმაცია, ასახული უნდა იყოს გრაფიკულ ინტერფეისში. უნდა ჰქონდეს მობილური მოწყობილობების მხარდაჭერა (Responsive).
- Microsoft Active Directory-თან ინტეგრაციის საშუალება.
- Event-ების გადაცემა გარე სისტემებში SNMP ტრაპების და SYSLOG შეტყობინებებით.
- Firewall, Web/Spam Filter, WAF-დან წამოღებული ლოგების ინტელექტუალური ანალიზის საშუალება.
- Trap ადაპტერი.
- Syslog ადაპტერი.
- E-mail, SMS აგენტი.

პროგრამული უზრუნველყოფის გრაფიკულ ინტერფეისს, GUI-ს უნდა შეეძლოს:

- ნებისმიერი ობიექტის, ინფორმაციის ძებნა, ძებნის სხვადასხვა კრიტერიუმების მითითების საშუალებით.
- სამუშაო გარემოს კონფიგურაცია.
- ინდიკატორების გრაფიკული სახით წარმოდგენა (Dashboards), მათ შორის მობილურ მოწყობილობებზეც.
- ინტერაქტიული ონლაინ მხარდაჭერა (Online Support) .
- რეპორტების გენერაცია გრაფიკული დიაგრამების სახით.
- დეტალური რეპორტების შესადგენად საჭირო ინსტრუმენტები, გრაფიკული დიაგრამების შექმნის მარტივი მექანიზმი.
- ინციდენტიდან პირდაპირ მონიტორინგის ობიექტამდე ნავიგაციის საშუალება.
- მონიტორინგის ობიექტიდან ინციდენტამდე ნავიგაციის საშუალება.
- ობიექტიდან მასზე არსებულ დეტალურ ინფორმაციაზე გადასვლა.
- ინფორმაციის ცხრილების, სქემების, გრაფიკების და დიაგრამების სახით წარმოდგენის საშუალება.
- რეპორტების შაბლონების შექმნის ჩაშენებული ინტერაქტიული ინსტრუმენტი.
- ერთჯერადად და გეგმიურად რეპორტების გენერირება გრაფიკის ან/და ცხრილის სახით.
- მონაცემების გაექსპორტება შესაძლებლობა ცნობილ ფორმატებში (PDF, CSV, XLSX).
- ინახავდეს სტატისტიკას რა ტიპის და რაოდენობის მოწყობილობებზე მიმდინარეობს მონიტორინგი.

- დინამიური მარშრუტიზაციის პროტოკოლების მონიტორინგი.
- ნებისმიერ მოწყობილობის, რომელსაც აქვს SNMP პროტოკოლის მხარდაჭერა, მონიტორინგი.
- უნდა ქონდეს ფუნქციონალი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ადვილად აღმოვაჩინოთ სტატისტიკური ანომალიები.
- პორტებისა და ქსელური მოწყობილობების ავტომატურად აღმოჩენა, ტოპოლოგიების შედგენა და მონიტორინგი.

ლიცენზირება და რაოდენობა:

მოთხოვნილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზია უნდა იძლეოდეს მინიმუმ 2500 მოწყობილობის მონიტორინგის საშუალებას.

პრეტენდენტმა უნდა მოგვაწოდოს სისტემის და მოდულებად ჩაშლილი 1, 3, 5 წლიანი ლიცენზიის ფასი.

სისტემისთვის საჭირო მოდულების, მონიტორინგში ჩასართავი მოწყობილობების რაოდენობის, ტიპის, მოცულობის, ფუნქციონალის და. ა.შ. გასარკვევად ტენდერით დაინტერესებულმა მხარემ, უნდა ჩაატაროს წინასწარი გამოკითხვა, რის შედეგადაც მაქსიმალურად ზუსტად დაადგენს ჩვენზე მორგებული სისტემის ლიცენზირების ტიპს და ფასს.